

დამტკიცებულია:

აქციონერთა საერთო კრების მიერ
2023 წლის -----

სააქციო საზოგადოება
„ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“
წესდება

(ახალი რედაქცია)

2023 წ.

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

- 1.1. სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“ (შემდგომში - საზოგადოება) ფუნქციონირებს 1996 წლის 30 აგვისტოდან. საზოგადოების საიდენტიფიკაციო კოდია 202886172.
- 1.2. საზოგადოებას აქვს სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა.
- 1.3. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. საზოგადოების სრული და შემოკლებული სახელწოდება. იურიდიული მისამართი

- 2.1. სრული სახელწოდება:
სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“.
- 2.2. სახელწოდება ინგლისურ ენაზე: JSC Bechdviti Sitkvis Kombinati.
- 2.3. შემოკლებული სახელწოდება: სს „ბსკ“.
- 2.4. საზოგადოების იურიდიული მისამართი: საქართველო, 0102, ქ. თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, კ. მარჯანიშვილის ქ. №5/დ. უზნაძის ქ. №16-18

მუხლი 3. საზოგადოების სტატუსი

- 3.1. საზოგადოება ჩამოყალიბებულია სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმით და მისი სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესდებით და სადამფუძნებლო შეთანხმებით.
- 3.2. საზოგადოებას საკუთრებაში აქვს განკერძოებული ქონება, რომელსაც განაგებს და მოიხმარს თავისი მიზნების მისაღწევად.
- 3.3. საზოგადოების სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი.

მუხლი 4. საზოგადოების ძირითადი მიმართულებები და მიზნები

- 4.1. საზოგადოების ძირითადი მიზანია – მოგების მიღება.
- 4.2. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
 - უძრავი ქონების გაქირავება;
 - საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა;
 - სარეკლამო და საინფორმაციო საქმიანობა;
 - საზოგადოებრივი კვების ობიექტების (რესტორანი, სასადილო და ა.შ.) აშენება და ექსპლუატაცია;
 - ღიზაინი და მხატვრული საქმიანობა;
 - სასტუმრო ბიზნესი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც მშენებლობას, ასევე ექსპლუატაციას ან მართვაში გადაცემას;
- 4.3. საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს სხვა საქმიანობაც.

მუხლი 5. საზოგადოების კაპიტალი, აქციათა სახეები

- 5.1. საზოგადოების კაპიტალის ოდენობა, ასევე აქციის ნომინალური ფასი აისახება სადამფუძნებლო შეთანხმებაში. მისი ცვლილება განხორციელდება კანონმდებლობის, სადამფუძნებლო შეთანხმებისა და ამ წესების შესაბამისად.
- 5.2. საზოგადოებას უფლება აქვს ამ მუხლით დადგენილი პირობების დაცვით შეიძინოს და გაასხვისოს საკუთარი აქციები. საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა დასაშვებია აქციონერთა საერთო კრების ნებარებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 5.3. საზოგადოების მიერ ერთ ჯერზე გამოსყიდული საკუთარი აქციების ნომინალური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 25 პროცენტს. საკუთარი აქციების გამოსყიდვა დაუშვებელია, თუ ამ აქციების გამოსყიდვის მომენტში საზოგადოება გადახდისუუნაროა ან აქციათა გამოსყიდვის შედეგად იგი შეიძლება გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დადგეს.
- 5.4. საკუთარი აქციები, რომლებიც საზოგადოებამ განთავსებული კაპიტალის შესამცირებლად შეიძინა ან გამოისყიდა, უნდა გააუქმოს საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ.
- 5.5. საზოგადოებას საკუთარი აქციებიდან აქციონერის უფლებები არ წარმოეშობა. იგივე წესი ვრცელდება მისი შვილობილი საწარმოს კუთვნილი აქციებიდან გამომდინარე ხმის უფლებაზე.
- 5.6. კაპიტალის გაზრდა შესაძლებელია სააქციო საზოგადოების დამატებითი აქციების გამოშვებით, რომელიც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით.
- 5.7. ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს აძლევს ერთ ხმას, ასევე აძლევს აქციათა საერთო რაოდენობაში თავისი წილის შესაბამისად საზოგადოების წლიურ შედეგებში მონაწილეობის (დივიდენდის მიღების) უფლებას და ყველა სხვა უფლებას, რაც გათვასწინებულია კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით.
- 5.8. საზოგადოების კაპიტალში შენატანი (აქციათა გამოსყიდვა) შესაძლებელია განხორციელდეს ფულადი სახით, აგრეთვე სხვა მატერიალური და არამატერიალური

ქონებით. არაფულადი ფორმით აქციათა გამოსყიდვა შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით, ამასთან შესაძლებელია თითოეული აქციონერისათვის განსხვავებულად.

- 5.9. აქციათა გამოსყიდვის ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, სხვა აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი წილების შესაბამისად შეისყიდონ ემიტირებული და გამოუსყიდავი აქციები (აქციონერთა კრების მიერ შესაძლოა დადგინდეს ამ აქციათა შესყიდვის პროცედურა).
- 5.10. აქციონერთა ხმები განისაზღვრება მათ მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის მიხედვით.

მუხლი 6. აქციონერები და მათი უფლება-მოვალეობები

- 6.1. აქციონერის მოვალეობები:
 - თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად;
 - არ იმოქმედოს იმ განზრახვით რომ ზიანი მიადგეს საზოგადოებას.
- 6.2. აქციონერს უფლება აქვს წინამდებარე წესდებითა და კანონით დადგენილი წესით:
 - მიიღოს ღირებულ კუთვნილ აქციებზე;
 - გაასხვისოს და მემკვიდრეობით გადასცეს აქციები (შესაძლოა სადამფუძნებლო შეთანხმება, ახალი აქციების ემისიაზე აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება ანდა წესდება აღგენდეს გარკვეულ შეზღუდვებს საზოგადოების თანხმობის ან სხვა აქციონერებისათვის უპირატესი შესყიდვის უფლების მინიჭების, ან სხვა სახით);
 - ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის და ფინანსური შედეგების შესახებ (აქციონერთა კრებას შეუძლია დაადგინოს ინფორმაციის მიღების პროცედურა, მათ შორის ინფორმაციის მიღების მაქსიმალური სიხშირე კალენდარული წლის განმავლობაში; ინფორმაციის გაცემის პროცედურა ასევე შეუძლია დაადგინოს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, იმ პირობით რომ არ მოვიდეს წინამდებარებაში აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებასთან, და ამასთან, საერთო კრების დღის წესრიგში შესულ საკითხებზე დაუშვებელია ინფორმაციის მიწოდების შეზღუდვა ან შეფერხება).
 - ინფორმაციის მიღების ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების გარდა აქციონერის უფლება ინფორმაციის მიღებაზე ასევე რეალიზდება კანონით იმპერატიულად განსაზღვრული წესების შესაბამისად.
 - ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს გააჩნიათ ხმის უფლება აქციონერთა საერთო კრებებზე, ხოლო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში კრედიტორთა დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილების უფლება.
- 6.3. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმით.
- 6.4. აქციონერმა რეესტრიდან ამონაწერის წარდგენით უნდა დაამტკიცოს თავისი უფლება მიიღოს მონაწილეობა კრების მუშაობაში და ხმის უფლება. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე. ყოველი სახელობითი ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს აძლევს ერთ ხმას აქციონერთა საერთო კრებაზე.
- 6.5. საზოგადოება ვალდებულია აქციების სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერების მიმართვისა და საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე განახორციელოს საზოგადოების სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური ანგარიშგების სპეციალური შემოწმება, თუ ის კანონით არ ექვემდებარება სავალდებულო აუდიტს. ამისთვის იგი ნიშნავს სპეციალურ აუდიტორს. თუ საერთო კრება უარს იტყვის სპეციალური აუდიტორის

- დანიშნავს საზოგადოების იმ სამეურნეო მოქმედების სპეციალური შემოწმების განსახორციელებლად, რომლის შემდეგ 5 წელზე მეტი არ გასულა, სპეციალურ აუდიტორს აქციების სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერების განცხადების საფუძველზე ნიშნავს სასამართლო, თუკი არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ამ სამეურნეო მოქმედების განხორციელებისას კანონი ან წესდება უხეშად დაირღვა.
- 6.6. აუცილებლობის შემთხვევაში საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ. საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. თუ საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, აღნიშნულ აქციონერთა განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება და დანიშნოს საერთო კრების თავმჯდომარე.
- 6.7. აქციონერს უფლება აქვს კანონითა და წესდებით დადგენილი წესით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტებს. ამ დოკუმენტების ასლების მიწოდება საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს აქციონერის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნით.
- 6.8. გარდა აღნიშნულისა, ხმათა 5 პროცენტის მფლობელ აქციონერებს, კანონის ან წესდების შესაბამისად, უფლება აქვთ საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს მოსთხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები. საზოგადოების შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, უარი განაცხადოს ამ ასლების/ინფორმაციის გაცემაზე.
- 6.9. ხელმძღვანელი ორგანოს უარი ინფორმაციის გაცემაზე საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას.
- 6.10. საერთო კრების მიმდინარეობისას საერთო კრების მონაწილე აქციონერს უფლება აქვს, საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს/პირებს დაუსვას შეკითხვები და მოსთხოვოს ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აქციონერის შეკითხვებს უპასუხოს და მას მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მიაწოდოს. საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, აქციონერს უარი უთხრას მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე, თუ: ა) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამ საზოგადოებას შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს; ბ) შესაბამისი ინფორმაციის გაცემით კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნდება; გ) დასმულ შეკითხვას პასუხი საერთო კრების დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას საზოგადოების ვებგვერდზე კითხვა-პასუხის ფორმატით აქვს გაცემული. თუ საერთო კრების დაწყებამდე საზოგადოებამ თავისი ინიციატივით რომელიმე აქციონერს, აქციონერის სტატუსიდან გამომდინარე, მიაწოდა ინფორმაცია, იგივე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საერთო კრების მონაწილე ყველა სხვა აქციონერს, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ინფორმაცია საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განსახილველად აუცილებელი არ არის. ინფორმაციის მიწოდებაზე საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება საერთო კრების ოქმის შედგენიდან 15 დღის ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს აქციონერის მოთხოვნას, აქციონერს მოთხოვნილი ინფორმაცია საერთო კრების გარეშეც მიეწოდება. საზოგადოებამ იგივე ინფორმაცია ხელმისაქვლად უნდა განაღოს ყველა სხვა დაინტერესებული აქციონერისთვის.
- 6.11. აქციონერს უფლება აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა.
- 6.12. აქციონერს შეუძლია იყოს საქმიან ან შრომით ურთიერთობაში საზოგადოებასთან და მიიღოს მისგან საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს.

მუხლი 7. აქციონერთა საერთო კრება

- 7.1. საზოგადოების მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოდგენს აქციონერთა საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. გარდა ყოველწლიური საერთო კრებისა, შეიძლება მოწვეულ იქნას რიგგარეშე საერთო კრებები. საერთო კრებას იწვევს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო. აქციონერთა საერთო კრება შესაძლოა მოიწვიოს აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭომ. აქციონერის/აქციონერების მოთხოვნით საერთო კრება მოიწვევა კანონით დადგენილი წესით, რომელიც ასახულია წინამდებარე წესდების მე-ნ მუხლის მე-ნ პუნქტში.
- 7.2. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე განთავსებული კაპიტალის ნახევარის მფლობელები. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დაინიშნება აქციონერთა ახალი კრების თარიღი.
- 7.3. აქციონერთა საერთო კრების მომზადებისას ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები:
- ა) საერთო კრების ჩატარების თარიღი და ადგილი;
 - ბ) საერთო კრების ჩატარებისა და ხმის მიცემის ფორმები;
 - გ) საერთო კრების დღის წესრიგი;
 - დ) საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებისთვის შეტყობინების ფორმა;
 - ე) აქციონერებისთვის გადასაცემი მასალების ნუსხა და ამ მასალების გადაცემის წესი;
 - ვ) საერთო კრების სააღრიცხვო დღე (სააღრიცხვო დღე არ უნდა იყოს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 30 დღით ადრე; ამასთან, პირველ საერთო კრებაზე კვორუმის არ არსებობის გამო მოწვეული ყოველი შემდეგი საერთო კრების მოწვევის თარიღსა და სააღრიცხვო დღეს/თარიღს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 დღე).
- 7.4. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა გამოაქვეყნოს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე საერთო კრების თარიღამდე სულ მცირე 21 დღით ადრე. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება აგრეთვე საზოგადოების ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში). გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:
- ა) სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;
 - ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილს, თარიღსა და დროს;
 - გ) აღნიშვნას, მორიგი საერთო კრება ტარდება თუ რიგგარეშე;
 - დ) საერთო კრების სააღრიცხვო დღეს და მითითებას, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
 - ე) საერთო კრების დღის წესრიგს.
- იმ შემთხვევაში თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით ითვლება ანგარიშვალდებულ საწარმოდ (სანამ ეს სტატუსი არ გაუქმდება), საერთო კრების ჩატარებამდე უწყვეტად 21 დღის განმავლობაში, ხოლო ამ წესდების 7.3. პუნქტის ვ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში საერთო კრების ჩატარების დღის ჩათვლით, აქციონერებისათვის დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:
- ვ) შეტყობინება საერთო კრების მოწვევის შესახებ;
 - ზ) ინფორმაცია საერთო კრების მოწვევის თარიღისათვის აქციათა საერთო რაოდენობისა და ხმების შესახებ;
 - თ) საერთო კრებისთვის წარსადგენი დოკუმენტები;

ი) მისაღები გადაწყვეტილების პროექტი, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს კომენტარი საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხზე, აგრეთვე ამ მუხლის 7.5. პუნქტის შესაბამისად აქციონერის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტი;

კ) საჭიროების შემთხვევაში, ხმის წარმომადგენლის მეშვეობით და წერილობით მიცემის ფორმები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ფორმები თითოეულ აქციონერს პირადად ეგზავნება;

ლ) იმ პროცედურის ზუსტი აღწერა, რომელიც უნდა გაიაროს აქციონერმა საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემისათვის, მათ შორის:

ლ.ა) ამ მუხლის 7.5. პუნქტით გათვალისწინებული უფლებები, ასევე შეკითხვების დასმის შესაძლებლობა კანონით დადგენილი წესითა და ვადების დაცვით;

ლ.ბ) წარმომადგენლის მიერ ხმის მიცემის პროცედურა, კერძოდ, ხმის მიცემის ფორმა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტობინების სააქციო საზოგადოების მიერ ელექტრონული ფორმით მიღების შესაძლებლობა;

ლ.გ) აქციონერის მიერ წერილობით ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ხმის მიცემის პროცედურა.

მ) საერთო კრების მასალების სრულად გაცნობის ადგილი და პირობები.

7.5. კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს და მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი, აგრეთვე წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

7.6. მხოლოდ აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხების გადაწყვეტა:

- საზოგადოების წესდების შეცვლა;
- წესდებაში ცვლილებების და დამატების შეტანა;
- განთავსებული კაპიტალის შეცვლა;
- საფირმო დასახელების შეცვლა;
- საზოგადოების საქმიანობის სავანის შეცვლა;
- საზოგადოების დაშლის საკითხის გადაწყვეტა;
- საზოგადოების შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- განთავსებული კაპიტალის გაზრდის დროს, აქციონერების მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივად გაუქმება.

7.7. საზოგადოების წესდებაში/საღამფუძნებლო შეთანხმებაში შესატანი ცვლილება, მათ შორის საფირმო სახელწოდებისა და საზოგადოების საქმიანობის სავანის ცვლილება, აგრეთვე საზოგადოების დაშლის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით.

7.8. საზოგადოების რეორგანიზაციის (შერწყმა, გაყოფა, გარდაქმნა) შესახებ საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კანონით დადგენილი წესით.

7.9. საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცვლილება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად. დამატებითი აქციების გამოშვებით კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების არა ნაკლებ 3/4-ით. განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში საერთო კრებაზე წარმოდგენილი უნდა იყვნენ საერთო ხმების არა ნაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერები. განთავსებული კაპიტალის შემცირების გადაწყვეტილების მისაღებად უნდა ჩატარდეს ცალ-ცალკე კენჭისყრა ყველა კლასის აქციებისთვის, რომლებზედაც აღნიშნული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს. ამასთან, საერთო კრებამ ეს გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების საფუძველზე.

- 7.10. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გაუქმდეს ახალი აქციების გამოშვების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში საერთო კრებაზე წარმოადგენილი უნდა იყვნენ საერთო ხმების არა ნაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერები. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წერილობითი მოხსენების საფუძველზე, რომელშიც მითითებულია აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების საფუძველები და დასაბუთებულია ახალი აქციების გამოშვების ღირებულება. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს ამ კანონით დადგენილი წესით.
- 7.11. მხოლოდ აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხები, რომლებზეც გადაწყვეტილებას იღებს კრებაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე კაპიტალის შესაბამისი მფლობელები 50%-ზე მეტი ხმით:
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გამოწვევა;
 - ბალანსის, მოგების და ზარალის ანგარიშის, სამეთვალყურეო საბჭოს და გენერალური დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშგებათა დამტკიცება;
 - მოგების გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს ან გენერალური დირექტორის წინადადების მიღება ან უარყოფა ან, როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, წმინდა მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
 - წმინდა მოგების განაწილება და აქციებზე გასაცემი დივიდენდების დამტკიცება;
 - დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნა;
 - სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;
 - სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ამ პროცესში წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
 - საზოგადოების ქონების შეძენის, გასწვების ან გაცვლის გარიგების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ, ჩვეული საქმიანობის წარმართვის გარდა, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების 50%-ზე მეტს.
- 7.12. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია საერთო კრების მონაწილეები არა მხოლოდ უშუალოდ ესწრებოდნენ, არამედ ამ ფორმასთან ერთად ან მის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები. ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაშვებული იქნეს აქციონერის მიერ ხმის მიცემა საერთო კრებაზე დაუსწრებლად, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით. ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით აქციონერმა ხმა შეიძლება მისცეს წერილობით/ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით საერთო კრების დაწყებამდე ან საერთო კრების მიმდინარეობისას. ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს საერთო კრების ვიდეო და აუდიო ტრანსლირება, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია, რაც აქციონერებს საშუალებას მისცემს საერთო კრებას დისტანციურად მიმართონ.

მუხლი 8. სამეთვალყურეო საბჭო

- 8.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისაგან.
- 8.2. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი საერთო კრების მიერ აირჩევა არაუმეტეს სამი წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული წევრი საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება ნებისმიერი დროს იქნეს გამოწვეული სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან, რის შესახებაც გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან ისე, რომ ზიანი არ მიაღწეს საზოგადოებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს საპატიო მიზეზი.

- 8.3. თუ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩევა ახალი წევრი, საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი.
- 8.4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს იმავდროულად საზოგადოების გენერალური დირექტორი ან სხვა პასუხისმგებელი ადმინისტრაციული პირი.
- 8.5. სამეთვალყურეო საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს.
- 8.6. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე) იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვთ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. ამ მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება. თუ სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლია თავად მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.
- 8.7. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დეგრა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი. ამ ოქმის სისწორისა და სრულყოფილებისთვის პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარე.
- 8.8. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. მოწვევა კეთდება დაზღვეული წერილის ფორმით, სულ ცოტა, 8 დღით ადრე და სავარაუდო დღის წესრიგით.
- 8.9. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება სამი წევრიდან ორი მაინც. თუ საბჭო არ არის გადაწყვეტილება უნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მის მოადგილეს), შეუძლია, სულ მცირე, რვა დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა.
- 8.10. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს გამოცხადებულ წევრთა უმრავლესობით. თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.

მუხლი 9. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია

- 9.1. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:
 - კონტროლი გაუწვიოს გენერალური დირექტორის საქმიანობას;
 - ნებისმიერ დროს მოითხოვოს გენერალური დირექტორისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში, მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით;
 - გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტების, კერძოდ საზოგადოების სალარო, ფასიანი ქაღალდების და საქონლის მდგომარეობა;
 - გენერალური დირექტორის დანიშვნა და მისი გამოწვევა; პირის საზოგადოების ხელმძღვანელ პირად (გენერალურ დირექტორად) დანიშვნის შემდეგ საზოგადოება მასთან “მეწარმეთა შესახებ” კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად დებს სასამსახურო ხელშეკრულებას. სასამსახურო ხელშეკრულებას საზოგადოების სახელით დებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.
 - სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება, თუ ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესები;
 - წლიური ანგარიშის შემოწმება;
 - მოგების განაწილების წინადადებების შემოწმება;

- სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს წარმოადგინოს საზოგადოება ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში;
 - ბირჟაზე აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება;
 - გადაწყვეტილებების მიღება საზოგადოების ქონების შექმნის, გასხვისების ან გაცვლის, გარიგების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ, ჩვეული საქმიანობის წარმართვის გარდა, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს, მაგრამ არ აღემატება 50%-ს;
 - სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა.
- 9.2. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:
- საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
 - კაპიტალდაბანდებათა შეძენა და გასხვისება;
 - ფილიალების და წარმომადგენლობების შექმნა, გასხვისება, დატვირთვა და ლიკვიდაცია;
 - საზოგადოების წლიური ბიუჯეტის, როგორც საგეგმო ბალანსის და მოგება-ზარალის გეგმის, ასევე ინვესტიციების გეგმის შედგენა გრძელვადიანი ვალდებულებებით;
 - სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება;
 - ინვესტიციების დაბანდება და ამოღება, რომელთა ოდენობა, ცალკე ან სამეურნეო წლის განმავლობაში, აღემატება გასული წლის ბოლოსათვის არსებული მდგომარეობით საზოგადოების მთელი ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს;
 - სესხების და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს;
 - სამეურნეო დარგების და წარმოების სახეების წამოწყება და შეწყვეტა;
 - სავაჭრო წარმომადგენლების და სავაჭრო მაკლერების დანიშვნა და გამოწვევა;
- 9.3. გენერალური დირექტორის ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ წევრს.
- 9.4. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. გენერალური დირექტორი

- 10.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალუა გენერალურ დირექტორს.
- 10.2. გენერალური დირექტორის უფლებამოსილება განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით და საზოგადოების წესდების შესაბამისად.
- 10.3. საზოგადოების სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენს გენერალური დირექტორი.
- 10.4. გენერალური დირექტორი ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ შეასრულოს დაკისრებული ამოცანები.
- 10.5. სამეურნეო წლის დამთავრებიდან ოთხი თვის განმავლობაში გენერალურმა დირექტორმა უნდა შეადგინოს და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს გასული სამეურნეო წლის წლიური ბალანსი, ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ (წლიური ანგარიში), ასევე საქმიანობის ანგარიში და დასკვნითი ანგარიში.
- 10.6. გენერალური დირექტორი ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) სავარაუდო სამეურნეო პოლიტიკის შესახებ (ყოველწლიურად);
 - ბ) საზოგადოების რენტაბელობის შესახებ (სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული პერიოდულობით);
 - გ) საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ (სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე, საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე).

- 10.7. გენერალურმა დირექტორმა გარდა ზემოაღნიშნულისა, სამეთვალყურეო საბჭოს უნდა აცნობოს ისეთი გარემოებების/გარიგებების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ აქციონერთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე ან საზოგადოების ფინანსურ/ქონებრივ მდგომარეობაზე.
- 10.8. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია:
- დაამტკიცოს საზოგადოების შინაგანაწესი, საშტატო განრიგი და სხვა ნორმატიული დოკუმენტები;
 - მიიღოს და გაათავისუფლოს საშუაოდან საზოგადოების მუშაკები, წახალისოს და დასაჯოს შინაგანაწესის შესაბამისად;
 - დადოს ხელშეკრულებები, აწარმოოს გარიგებები და გასცეს მინდობილობები;
 - გახსნას და დახუროს ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში;
 - გამოსცეს საორგანიზაციო-განმკარგულებელი ხასიათის დოკუმენტები;
 - გადაწყვიტოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული საკითხები;
 - გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომელიც არ შედის საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში.

უხლი 11. წლიური ანგარიში და შედეგების განაწილება

- 11.1. გენერალური დირექტორი ადგენს წლიურ ანგარიშს კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად, იგი ხორციელდება შეფასების ყველა მოთხოვნის დაცვით.
- 11.2. აქციონერთა კრება ამტკიცებს წლიურ ანგარიშს და შედეგების განაწილებას.

მუხლი 12. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა

- 12.1 საზოგადოება წყვეტს საქმიანობას:
- აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;
 - კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- 12.2. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების, გამოყოფის, გაყოფის, გარდაქმნის) ან დაშლის გზით.
- 12.3. საზოგადოების რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 13. ფილიალები

- 13.1. საზოგადოებას შეუძლია შექმნას ფილიალები და წარმომადგენლობები როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომლებიც იურიდიულ პირებს არ წარმოადგენენ.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

- 14.1. წესდება ძალაშია აქციონერთა საერთო კრების მიერ მისი დამტკიცების დღიდან.
- 14.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულებამ ძალა დაკარგა, ეს არ ვრცელდება სხვა დებულებაზე; ამ შემთხვევაში საზოგადოებას შეუძლია სამართლებრივი ნორმების შესაბამისად ძალადაკარგული დებულება შეცვალოს ისეთი დებულებით, რომელიც საშუალებას მისცემს მას მიაღწიოს მსგავს ეკონომიკურ შედეგს. ამასთან, თუ საერთო კრება არ ცვლის ძალადაკარგულ დებულებას სხვა დებულებით, ძალადაკარგული დებულებით მოწესრიგებული საკითხი წყდება კანონით დადგენილი წესით.
- 14.3. ამ წესდების მუხლებს წამძღვარებული აქვთ სათაურები წესდების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები მხედველობაში არ მიიღებიან ამ წესდების რაიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განსამარტავად.
- 14.4. წესდება შედგენილია ქართულ ენაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

/გ. სხირტლაძე/